ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4957197

ნომერი: AR1748875

თარიღი : 18.05.2020

გაცემის თარიღი : 19.05.2020

გაცნობის თარიღი : 19.05.2020

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, დემეტრე თავდადებულის ქუჩა, N 29გ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი ქურციკიძე პ/ნ 01015018332
- თბილისი კრწანისის ქ. N 7ა ბ. 17

ნომენკლატურა :

- I კლასი
- ანტრესოლის, კიბის, ვიტრინის, კარის, ფანჯრის და სხვა ღიობის მოწყობა ან დემონტაჟი კორექტირება
- დროებითი დანადგარი ახალი მშენებლობა
- შენობა-ნაგებობის ფასადზე მცირე ზომის არქიტექტურული ელემენტების, კონსტრუქციების და ტექნიკური საშუალებების მოწყობა ან დემონტაჟი კორექტირება

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს

სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ:

1. სამსახურს მსჯელობა შეუძლია მხოლოდ დანადგარების განთავსებაზე. რაც შეეხება კარის კორექტირებასა და საჩრდილობლის განთავსებას, სამსახურს უნდა მომართოთ არა პირველი კლასით, არამედ პროექტის კორეტირების კუთხით, წინააღმდეგ შემთხვევაში, პირველი კლასით ზემოაღნიშნული საკითხის განხილვის შესაძლებელი იქნება შენობის ექსპლუატაციაში მიღების შემდგომ. აქედან გამომდინარე, დააკორექტირეთ დოკუმენტაცია და წარმოადგინეთ მხოლოდ დანადგარები.
2. კორექტირებული ფოტომონტაჟი -> ..ფოტომონტაჟის pdf ფაილი : დამატებით წარმოადგინეთ ისეთი ფოტომონტაჟი, სადაც ნაჩვენები იქნება ხდება თუ არა შოკისა და ვენტილაციის დანადგარებით ან/და ნაგებობების არსებულ შენობაზე/საწყობზე მიშენება/გაერთიანება. აჩვენეთ მათ შორის დაშორებები. ასევე, ფოტომონტაჟზე დაიტანეთ რეალური მასალები და გაბარიტული ზომები. მოგახსენებთ რომ შერჩეულ მასალასა და ფერზე მითითებულ უნდა იქნას საერთაშორისო კოდი (RAL, RGB).
3. სამსახურის მიერ გაცემული წერილობითი დადასტურების ან შეთანხმებული პროექტის ან მშენებლობის ნებართვის ბრძანების რეკვიზიტები -> ..დოკუმენტის ნომერი: ველი დაკორექტირდეს შემდეგნაირად, დაფიქსრიდეს მხოლოდ № 4904435 (ვინაიდან სამსახურის ბაზაში ბოლო კორექტირება ფიქსირდება ზემოაღნიშნული ბრძანებით და ახლა ითხოვთ კორექტირებას, თქვენს მიერ მითითებული ბრძანების თარიღი და ნომერი ნებართვის ვადის გაგრძელებისაა).
4. სამსახურის მიერ გაცემული წერილობითი დადასტურების ან შეთანხმებული პროექტის ან მშენებლობის ნებართვის ბრძანების რეკვიზიტები -> ..დოკუმენტის თარიღი : ველში დაფიქსირდეს მხოლოდ 31/03/2020.

თქვენ გეძლევათ 30 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში არ წარმოადგენთ შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.